

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აც- 0840-20
ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

20.02.2020წ.

ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 20 თებერვალი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ბადრი ჩიბუხაშვილი 31001002995, მის: მცხეთა ს. ძალისი მე-11 ქ. N42

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2020 წლის 14 თებერვალს, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის აღრიცხვის ჯგუფის სპეციალისტის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძალისში შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას#008743, რომლის მიხედვით: შემოწმდა სატრანსფორმატორო პუნქტი N 607-077 მრიხველი N 00318699, შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მრიცხველი მაგნიტის ზემოქმედები შედეგდა იყო გაჩერებული, ასევე მანიპულირება ხდებოდა აზ N 4110516892 (ბადრი ჩიბუხაშვილის) მრიცხველზე N 00329291. აზონენტის მრიცხველის შემოწმების მომენტში, აზონენტის მრიცხველში გადიოდა 18 ამპერი დენი, მაბვა შეადგენდა 231 ვოლტს. მრიხველის მაგნიტის საშუალებით გაჩერებისას არ ხდებოდა მოხმარებულ ელ.ენერგიის აღრიცხვა, ხოლო საბალანსე მრიცხველი გაჩერების მოტივი იყო ის, რომ ენერგოკომპანიას ვერ აღმოეჩინა ელ.ენერგიის დანაკარგები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევად მიჩნეული პირი - ბადრი ჩიბუხაშვილი ოქმში მიცემული ახსნა-განმარტების შესაბამისად ის აღიარებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.

სამართალდარღვევის ოქმს თან ახლავს აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A595999, რითაც ასევე დასტურდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

სამართალდამრღვევის მიერ ელ.ენერგიის დატაცება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს განმეორებით შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 19 თებერვალს ელექტრონული ფორმით მიღებული ინფორმაციით, რომლის მიხედვით ბადრი ჩიბუხაშვილი არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული 27.08.2019წ მუხლი- 96- 1-1 ოქმი- 008098 სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

კომისიის სხდომაზე დასასწრებად არ გამოცხადდა ბადრი ჩიბუხაშვილი თუმცა საქმეში დევს დადასტურება, რომ სამართალდამრღვევს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით კომისიისთვის არ მოუმართავს. ამდენად, კომისია სამართალდამრღვევის დასწრების გარეშე უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე.

სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომელთა მეშვეობითაც დგინდება თამაზ ავანაშვილის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და შესაბამისად, იგი ცნობილ უნდა იქნას ბრალეულ პირად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის მე-2 ნაწილით; მე-10; 38-ე; 228²-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სეწმეკის 12.08.10წ. #14 დადგენილებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 09.10.2017წ. #OR2017034 ბრძანებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ბადრი ჩიბუხაშვილი კ/ნ 31001002995 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ნიკოლოზ გოგიტიძე
კომისიის თავმჯდომარე

